

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ელენე ცხვარიაშვილი

სახელმწიფო სტრატეგია პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის  
მხრივ საქართველოს მაგალითზე

სადოქტორო პროგრამა: საჯარო მმართველობა

შიფრი 1109

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარდგენილი დისერტაციის

**ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი**

თბილისი

2020

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის  
საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი **თამარ რევაზიშვილი**  
რეცენზენტები: \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

დაცვა შედგება 2020 წლის „\_\_\_\_“ \_\_\_\_\_, \_\_\_\_\_ საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების  
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს

სხდომაზე, კორპუსი \_\_\_\_\_, აუდიტორია \_\_\_\_\_

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.  
დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,  
ხოლო ავტორეფერატის – სტუ-ს ვებ-გვერდზე ([www.gtu.ge](http://www.gtu.ge))

**საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი -**  
ასოცირებული პროფესორი \_\_\_\_\_ /ლელა კოჭლამაზაშვილი/

## State strategy on women's involvement in politics in Georgia's example.

### ABSTRACT

Society has been silent over gender equality issues for centuries. From the twentieth century, it seemed that some pressure was removed and became active. In recent years, this issue has become more intense and touched upon almost every aspect of life.

Men and women in the modern world have equal political rights. "Everyone has the right to enter the state service on an equal basis". - (Universal Declaration of Human Rights, Article 21, paragraph 1.2)

However, women's political participation in many countries, including Georgia, is still relatively low compared to men and, therefore, when the group is not properly represented in politics, neither their interests are taken into consideration.

Why is gender equality necessary in a democratic country? To make our point of view, we can bring three important arguments, the first two of which are based on the Universal Declaration of Human Rights adopted by the UN in 1948.

**The first argument** - a human right, where women have the same rights as men to participate in the political life of their country.

**The second argument** - equality, when the world's population is almost balanced by gender, then both sexes are equally entitled to participate in the management of the country.

**The third argument** - Experience of different countries have shown that when the amount women in politics are not proportionally compared to men, their problems are rarely the subject of discussions, while more than half of the voters are women.

The survey reflects the analysis of the 2012-2016 Parliamentary, 2014-2017 Local Self-Government Elections and Employees of Georgian Public Agencies in the context of Gender.

The work consists of an introduction, 4 chapters, subheading, conclusions, and recommendations.

**In the first chapter "International Standards and Georgian State Policy for Women's Political Participation"** is considered by international legal and political standards, which is for gender equality. What is the way Georgia has passed? Why did gender equality issues be addressed and especially women in politics? This chapter states that international organizations are seriously interested in resolving gender issues in our country. It is about gender policy and gender budgeting. There are different levels of gender policy. The international experience of electoral suffrage and the current situation in Georgia has been extensively described. The role of a Georgian politician in historical context is discussed.

**In the second chapter “Women and Politics in Georgia”** it is about women's involvement in politics. The 2012 parliamentary elections of 2012 and 2016, as well as 2014 and 2017 local self-governance elections, are included in the gender scene. This chapter discusses the gender analysis of political parties, who won mandates in the supreme national legislature of Georgia in the 2016 parliamentary elections. It is about the issues that are aimed at activating women's involvement in political processes. The issues of the low level of women in different political parties are also discussed, as well as the obstacles that prevent female membership in proportional lists. This chapter deals with the views of political parties on the issue of engagement in women's politics.

**The third chapter, “Gender Quota and ensuring increase of public (society) awareness as Mechanisms for improving Women's Participation in Politics”**, deals with preventive participation in women's politics and gender quota as one of the fastest solutions. The positive and negative sides of gender quotes are characterized. This chapter speaks about education as one of the guarantors of raising awareness. The means of raising awareness level are offered: Educational space, external factors, involvement in the country/participation in various international or local projects. It is noted that civic education is one of the tools to unite society. It is necessary for raising national awareness and development.

**In the fourth chapter “Public Policy and Gender Equality”** This chapter states that equal involvement of men and women in policy development and implementation in the country will have an impact on the welfare of society and the rise of political culture. The fourth chapter deals with the research of public institutions in the context of gender. Discussing gender statistics, remuneration, employment and dismissal of women, and women's involvement in decision-making positions. The situation in 2013-2018 is comparable to this point.

In the final part of the work, there are recommendations to be taken by political parties, government, and other interested organizations and institutions to promote women's participation in the political life of Georgia.

## სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალურობა – საქართველოს სწრაფვამ ევრო-ინტეგრაციისკენ მნიშვნელოვნად დააჩქარა პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის ხელშემწყობი რეფორმების განხორციელების პროცესი. აუცილებელი გახდა გენდერული საკითხების პრიორიტეტად გადაქცევა. ამ კუთხით ჩვენ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მიუხედავად ამისა, ქალები კვლავ ნაკლებად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. მათთვის, მამაკაცებთან შედარებით, ძნელია არჩევნების გზით პარლამენტში მოხვედრა. ასევე, საკმაოდ დაბალია ქალთა რიცხვი ადგილობრივ მმართველობით ორგანოებსა თუ სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში. ჩვენ ქვეყანაში განათლებული და „დიპლომიანი“ ქალების რიცხვი გაცილებით მეტია მამაკაცებთან შედარებით, თუმცა, ისინი საკუთარი თავის რეალიზებას ვერ ახდენენ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საკვლევი თემა დღესაც აქტუალურია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში და აღნიშნული საკითხი აქტუალური იქნება იმ დრომდე, სანამ ქალები რეალურ შედეგს არ მიაღწევენ – იქნებიან სათანადოდ წარმოდგენილები სხვადასხვა საჯარო სტრუქტურებში და ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

**ნაშრომში დასმული პრობლემა** – საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა დაბალი ჩართულობაა. მიუხედავად იმისა, რომ გენდერულ საკითხებს საჯარო პოლიტიკაში წინა წლებთან შედარებით მეტი ყურადღება ექცევა, ეს დისბალანსი ბოლომდე მაინც არ არის აღმოფხვრილი. დასაქმების, ხელმძღვანელ პოზიციებზე დანიშვნა-არჩევის, ანაზღაურების საკითხებში და არჩევით ორგანოებში კვლავ მამაკაცების უპირატესობა შეინიშნება.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, უმაღლესი განათლების მქონე მდედრობითი სქესის წარმომადგენელი უფრო მრავლადაა ქვეყანაში,

ვიდრე მამრობითი სქესის. არადა, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილები. უმაღლესი განათლების მიღების შემდგომ ქალები უკან იხევენ და ვერ ახერხებენ საკუთარი თავის წარმოჩენას რიგი მიზეზების გამო (პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული).

**კვლევის ობიექტი** – კვლევის ობიექტია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობა პოლიტიკაში ქალთა აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

**კვლევის საგანი** – კვლევის საგანია ქალთა პოლიტიკური ჩართულობა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებსა და საქართველოს საჯარო დაწესებულებებში.

**კვლევის მიზანი** – კვლევის მიზანია პოლიტიკურ პარტიებში, საკანონმდებლო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო დაწესებულებებში გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლა, გენდერული თანასწორობის კუთხით საჯარო პოლიტიკაში არსებული გამოწვევების განხილვა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ხელისშემშლელი ხელოვნური თუ ბუნებრივი ბარიერების გამოვლენა.

**ზემოაღნიშნული მიზნის რეალიზაციისთვის დასახულია შემდეგი ამოცანები:**

- საჯარო დაწესებულებებში გენდერული თანასწორობის კვლევა;
- პოლიტიკურ პარტიებში ქალთა და მამაკაცთა გადანაწილების განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მდედრობითი სქესის წარმომადგენლების მონაწილეობის დადგენა;
- საკანონმდებლო სივრცეში ქალების აქტიურობის შეფასება;
- პოლიტიკურ აქტივობაში ქალთა მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორების და პრობლემების გამოვლენა;
- გენდერული კუთხით მდგომარეობის განსაზღვრა და საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული უთანასწორობის პრობლემის

აღწერა;

- პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის გაზრდისთვის წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველი** – კვლევის მეთოდოლოგია დაეყრდნო ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებულ ქართულ და უცხოურ ლიტერატურას, საქართველოს პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ამსახველ ისტორიულ დოკუმენტებს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის, სხვადასხვა სამინისტროს თუ პოლიტიკური პარტიების ვებ-გვერდებზე განთავსებულ ინფორმაციას, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ კვლევებს, გამოქვეყნებულ ანგარიშებს.

კვლევის სხვადასხვა ეტაპზე, შერჩეულ ორგანიზაციებსა და მიზნობრივ ჯგუფებში, მოპოვებულ და გაანალიზებულ იქნა სტატისტიკური და თვისებრივი ხასიათის ინფორმაცია.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებიდან გამოთხოვილ და გაანალიზებულ იქნა სხვადასხვა სახის ოფიციალური დოკუმენტები და სტატისტიკური მონაცემები. პოლიტიკურ პარტიებში არსებული გენდერული თანაფარდობის კვლევის მიზნით სპეციალურად შემუშავებული ელექტრონული კითხვარის საშუალებით ჩატარებულ იქნა გამოკითხვა შერჩეულ ორგანიზაციებსა და მიზნობრივ ჯგუფებში. შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა პოლიტიკაში გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო კვლევები და რეკომენდაციები, უცხოური და ქართული ოფიციალური ვებ-გვერდებიდან მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები.

**ნაშრომის მეცნიერულ სიახლე** – მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ მასში კომპლექსურად არის შესწავლილი და სიღრმისეულად არის გაანალიზებული სახელმწიფო პოლიტიკა გენდერული კუთხით; განხილულია გენდერულ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ნაშრომის

ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები გვაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ დღეისთვის საქართველოში, საჯარო დაწესებულება იქნება თუ კერძო, ქალები და მამაკაცები არ არიან თანაბრად ჩართულები პოლიტიკაში. ჩვენ მიერ თავმოყრილი მასალის გაანალიზების შედეგად შემუშავებულია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ ქალების და მამაკაცების თანაბარი ჩართულობა პოლიტიკაში. ვფიქრობთ, აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება გარკვეულ დახმარებას გაუწევს საჯარო სტრუქტურებს პრობლემის გადაჭრაში.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა** – კვლევის შედეგად მიღებული თეორიული დასკვნები, რეკომენდაციები და წინადადებები მნიშვნელოვნად გაამდიდრებს სოციალურ მეცნიერებებში და საჯარო მმართველობის სფეროში აღნიშნული მიმართულებით არსებულ კვლევებს და თეორიულ დებულებებს. პრაქტიკული თვალსაზრისით კი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ.

**ჰიპოთეზა** – საქართველოში ქალთა პოლიტიკური ჩართულობა არასაკმარისია. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს: გენდრული სტერეოტიპების არსებობა საზოგადოებასა და პოლიტიკურ კულტურაში, გენდრული თანასწორობის საკანონმდებლო მექანიზმების არასრული ამოქმედება, პოლიტიკოს ქალთა და ქალთა ორგანიზაციების სუსტი კოორდინაცია და ლიდერი ქალების მომზადების კარგად განვითარებული საგანმანათლებლო სისტემის არქონა.

მნიშვნელოვანი გავლენა სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური ჯგუფის მამაკაცებსა და ქალებზე შეუძლია მოახდინოს ქალთა ორგანიზაციების მიერ ქვეყნის ბიუჯეტის შესწავლამ და ბიუჯეტში გენდრული პერსპექტივის გასათვალისწინებლად გენდერულ საკითხებზე კანონმდებლებთან თანამშრომლობამ, რაც ხელს შეუწყობს ხელისუფლების



მხრიდან გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა** - სადისერტაციო ნაშრომი „სახელმწიფო სტრატეგია პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის მხრივ საქართველოს მაგალითზე“ – მოიცავს 149 გვერდს და შედგება შესავალი ნაწილის, ლიტერატურის მიმოხილვის, 4 თავის, 12 ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. ნაშრომი შეიცავს, აგრეთვე, ცხრილებს, ნახაზებს, აბრევიატურების ჩამონათვალს და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

**ნაშრომის სტრუქტურა:**

**რეზიუმე**

**ABSTRACT**

**ცხრილების ნუსხა**

**ნახაზების ნუსხა**

**გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა**

**შესავალი**

**ლიტერატურის მიმოხილვა**

**თავი I - საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდისათვის**

1.1. პოლიტიკაში გენდერული ბალანსის დაცვის სახელმწიფო მექანიზმები და ეროვნული სტრატეგიები

1.2. სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკა (ისტორიული მიმოხილვა)

1.3. არჩევნები, საარჩევნო სისტემა და სამართლებრივი ჩარჩო

**თავი II - ქალი და პოლიტიკა საქართველოში**

2.1. პოლიტიკური პარტიები და წევრი ქალები

2.2. პარტიების საარჩევნო პროგრამები და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის პრობლემა

2.3. 2012-2016 წლების საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა რაოდენობის და აქტივობის ანალიზი გენდერული თანასწორობის კუთხით

2.4. 2012-2016 წლების საპარლამენტო არჩევნების ანალიზი გენდერული თანასწორობის ჭრილში

2.5. 2014 და 2017 წლების ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ანალიზი გენდერული თანასწორობის ჭრილში

**თავი III- გენდერული კვოტა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა - პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაუმჯობესების მექანიზმები**

3.1. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელისშემშლელი პირობები და გენდერული კვოტა, როგორც პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა

3.2. გენდერული კვოტის დადებითი და უარყოფითი მხარეები

3.3. განათლება, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების გარანტორი

**თავი IV - საჯარო პოლიტიკა და გენდერული თანასწორობა**

4.1. გენდერული თანასწორობის საკითხი საჯარო დაწესებულებებში

**დასკვნა**

**რეკომენდაციები**

**გამოყენებული ლიტერატურა**

**დანართები**

## **ნაშრომის ძირითადი შინაარსი**

შესავალში გამოკვეთილია პრობლემა, განსაზღვრულია თემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი, ამოცანები, ობიექტი, საგანი და მეთოდები. აგრეთვე ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულია აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით არსებული როგორც ქართველი, ისე უცხოელი ავტორების ნაშრომები, პუბლიკაციები, ანგარიშები. ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს სტატისტიკის

დეპარტამენტის, სხვადასხვა სამინისტროებისა თუ პოლიტიკური პარტიების ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია, რაც დაგვეხმარა ნაშრომის შესრულებაში.

**ნაშრომის პირველ თავში – „საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდისათვის“** განხილულია ის საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური სტანდარტები, რაც გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის არსებობს. პასუხი გაეცა კითხვებს, თუ რა გზა გაიარა საქართველომ? რატომ გახდა აქტუალური გენდერული თანასწორობის საკითხები და განსაკუთრებით ქალების ჩართვა პოლიტიკაში? აღნიშნულია, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან სერიოზული დაინტერესება ჩვენ ქვეყანაში გენდერული თანასწორობის საკითხების მოგვარებით. მიმოხილულია პოლიტიკაში გენდერული ბალანსის დაცვის სახელმწიფო მექანიზმები და ეროვნული სტრატეგიები.

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. 2018 წელს შეიქმნა ახალი „გენდერული თანასწორობის განხორციელების ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა“.

1979 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW). იგი ძალაშია 1981 წლიდან. საქართველო მას 1994 წელს შეუერთდა.

1995 წლის სექტემბერში ქალთა საკითხებისადმი მიძღვნილ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე დამტკიცდა პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (BPFA). კონფერენციაზე 189 ქვეყნის წარმომადგენელთა შორის საქართველოც იყო წარმოდგენილი. BPFA მიზნად ისახავდა ქალთა უფლებამოსილების გაფართოებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში და აგრეთვე, აუცილებელი პირობების შექმნას გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით (უპირატესად გადაწყვეტილების მიღების

დონეზე). აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ეროვნული გენდერული პროგრამების განვითარებასა და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებას.

2003 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო **რეზოლუცია 58/142** ქალების პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ. ამ რეზოლუციის თანახმად, ხაზგასმით იყო აღნიშნული ქალთა მონაწილეობის გაძლიერების მნიშვნელობა ძალაუფლების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რეზოლუცია მოითხოვს, რომ ამ მიმართულებით შემუშავდეს შესაფერისი პოლიტიკა.

2011 წელს მიღებულ **66/130 რეზოლუციაში** ხაზგასმულია ქალთა პოლიტიკური ჩართულობის მნიშვნელობა.

2000 წელს გამოიცა გაეროს უშიშროების საბჭოს **1325-ე რეზოლუცია** - „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“. რეზოლუცია #1325 ადასტურებს ქალთა მონაწილეობისა და გენდერული საკითხების ჩართვის მნიშვნელობას სამშვიდობო მოლაპარაკებებში, ჰუმანიტარული რეაგირების დაგეგმვაში. აგრეთვე, სამშვიდობო ოპერაციებში, კონფლიქტის შემდგომ სამშვიდობო საქმიანობასა და მმართველობაში. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ მინიმუმ 30%-ით მაინც უნდა იყვნენ ქალები პარლამენტში, რათა მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ კონკრეტულ ცვლილებებზე.

აღნიშნული დოკუმენტების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესებას ქალთა უფლებების დაცვის, გენდერული თანასწორობის მიღწევის საკითხების მოგვარებით, რისთვისაც ისინი გასცემენ სათანადო რეკომენდაციებს, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა მათი დემოკრატიული განვითარების უზრუნველსაყოფად.

მოცემულ თავში საუბარია, ასევე, გენდერულ პოლიტიკასა და გენდერულ ბიუჯეტირებაზე. მიმოხილულია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პოლიტიკის სხვადასხვა დონე. ვრცლადაა აღწერილი საარჩევნო ხმის უფლების საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში

იმდროინდელი ვითარება. განხილულია ქართველი პოლიტიკოსი ქალების როლი ისტორიულ ჭრილში.

**მეორე თავში** – „ქალი და პოლიტიკა საქართველოში“ საუბარია ქალთა ჩართულობაზე პოლიტიკაში. ასახულია 2012 და 2016 წლების საპარლამენტო, ასევე, 2014 და 2017 წლების ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გენდერული თანასწორობის კუთხით. განხილულია იმ პოლიტიკური პარტიების საქმიანობის ანალიზი გენდერული თანასწორობის კუთხით, რომელთაც საკანონმდებლო ორგანოში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოიპოვეს მანდატები.

კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ პარტიებში დამკვიდრებულია რეკრუტინგის ბუნდოვანი წესი. არ არსებობს ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც პარტიაში ხდება ამა თუ იმ პირის დაწინაურების საკითხი. შესწავლილი პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს ე.წ. „ქალთა ორგანიზაცია“. ქალთა ორგანიზაციის არსებობით/დაარსებით კი ხდება პარტიის შიგნით გენდერული ბალანსის თემატიკის პოპულარიზაცია და ამავე დროს, ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პარტიებს არა აქვთ გაცნობიერებული, თუ რა დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია შიდაპარტიულ პოლიტიკას ქალთა ჩართულობის გასაძლიერებლად. განხორცილებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ პარტიებს არ აქვთ გაკეთებული არც სრული გენდერული ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებაში ქალთა რაოდენობა საკმაოდ დაბალია - 22 ქალი დეპუტატი (14,66%). აღნიშნული მონაცემებით, საქართველო 193 ქვეყნიდან 139-ე ადგილზეა (Inter-Parliamentary Union). არადა, 30% ითვლება ე.წ. „კრიტიკულ მასად“, რომელიც საშუალებას აძლევს ქალებს, როგორც ინტერესთა ჯგუფს, სახელმწიფო პოლიტიკაზე საგრძნობი გავლენა მოახდინონ. ქალები, მცირე წარმომადგენლობის მიუხედავად, საკმაოდ აქტიურები არიან საკანონმდებლო ხელისუფლებაში. 2008 წლიდან დღემდე (2019 წლის 03

აპრილი მონაცემებით) პარლამენტში ქალი წევრების მიერ ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობა გაიზარდა. 2008-2012 წლების მოწვევის პარლამენტში მარტო პარლამენტარმა ხათუნა გოგორიშვილმა ინდივიდუალურად 14 საკანონმდებლო ინიციატივა წარმოადგინა. 2012-2016 წლის მოწვევის პარლამენტში დეპუტატი გუგული მალრაძე 11 საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი იყო. ასევე, პარლამენტის სხვა წევრებთან ერთად, ირინე იმერლიშვილს 28 საკანონმდებლო ინიციატივა ჰქონდა წარდგენილი. 2016-2019 წლებში (2019 წლის 3 აპრილის მდგომარეობით) პარლამენტში 103 ინიცირებული კანონპროექტი იქნა წარდგენილი, რომლებშიც ქალებიც იყვნენ ჩართულნი. მათგან ყველაზე დიდი რაოდენობით ინიცირების ავტორი (44) ეკა ბესილია იყო.

გაცილებით მძიმე მდგომარეობაა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ანალიზით გამოიკვეთა, რომ 64 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ერთი ქალი იყო მერად არჩეული, რაც 1,56%-ს შეადგენს. პროპორციული წესით არჩეულ იყო 970 დეპუტატი, მათ შორის მხოლოდ 190 ქალი - 19,59%, მაჟორიტარული წესით არჩეული იყო 1 088 დეპუტატი, მათ შორის - 87 ქალი (8%), საერთო ჯამში - 2 058 დეპუტატი, მათ შორის - 277 (13,46%) ქალი, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, გენდერული თვალსაზრისით, ყველაზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც საქართველოს ისტორიაში პირველი ქალი პრეზიდენტი გახდა დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი.

ამ თავში საუბარია საკითხებზე, რომლებიც მიზნად ისახავს პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის გააქტიურებას. განხილულია სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაში ქალთა რაოდენობის მაჩვენებლები და ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის პროპორციულ სიებში ქალი კანდიდატების რიცხობრივ ზრდას. ასევე,

საუბარია პოლიტიკური პარტიების შეხედულებებზე პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის საკითხთან მიმართებაში.

**მესამე თავში – „გენდერული კვოტა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა - პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაუმჯობესების მექანიზმები“** განხილულია პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორები და გენდერული კვოტა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი გამოსავალი. აღსანიშნავია, რომ კვოტებს მსოფლიოს 118 ქვეყანა წარმატებით იყენებს. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში გენდერული კვოტების შემოღების შემდეგ პოლიტიკურ საქმიანობაში ქალთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ის, რომ ეს ქვეყნები, დღესდღეობით ქალთა უფლებების დაცვის მხრივ საუკეთესოდ მიიჩნევა, რომ ეს ქვეყნები ეკონომიკურადაც ძლიერ ქვეყნებს მიეკუთვნებიან.

ამ თავში დახასიათებულია გენდერული კვოტების დადებითი და უარყოფითი მხარეები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრნაირი კვოტა არსებობს, ისინი შეიძლება დავყოთ შიდაპარტიულად და საკანონმდებლო კვოტებად. პარტიული კვოტა ნებაყოფლობითია, საკანონმდებლო კი – სავალდებულო (კვოტების დაწესება გარანტირებულია საარჩევნო კანონმდებლობით ან კონსტიტუციით). თავის მხრივ, საკანონმდებლო კვოტები ორ ჯგუფად იყოფა: კანდიდატების და რეზერვირებული ადგილების კვოტები. სხვა გამოცდილ მეთოდს შორის კვოტები ისეთი ლიდერია, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს. კვოტების შემოღებასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, საქართველოში საკანონმდებლო ინიციატივების განხილვამ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

საუბარია აგრეთვე განათლებაზე, როგორც საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლების ერთ-ერთ გარანტორზე. ცნობიერების დონის ამაღლება ხელს უწყობს გენდერული თანასწორობისადმი სწორი დამოკიდებულების გამომუშავებას. შემოთავაზებულია საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლების საშუალებები: საგანმანათლებლო

სივრცეში არსებულ პროგრამებში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება სწავლების ყველა დონეზე. ისეთი გარეგანი ფაქტორები, როგორც არის ქვეყნის ჩართვა/მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში. აღნიშნულია, რომ სამოქალაქო განათლება საზოგადოების გამაერთიანებელი ერთ-ერთი ინსტრუმენტია. ის საჭიროა ეროვნული ცნობიერების ამაღლებისა და განვითარებისთვის. ეკონომიკურად ძლიერი, განათლებული ქალი თავისუფლია თავის არჩევანში და შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება.

მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა აღარ არის „ჩაკეტილი“ და შესაძლებელია საზღვრებს გარეთ თავისუფალი გადაადგილება, ყველასათვის ნათელი გახდა, თუ რა ვითარებაა დასავლეთში, რა უფლებებით სარგებლობენ ქალები ამ ქვეყნებში. თავისთავად ჩნდება სურვილი, რომ ჩვენს ქვეყანაშიც უფრო მეტად განვითარდეს დემოკრატია და განვითარების იმ საფეხურს მივაღწიოთ, რომელზედაც ეს ქვეყნები დგანან. უამრავი ახალგაზრდა ლეზბიანობას განათლებას საზღვარგარეთ. ისინი იზრდებიან განსხვავებული ღირებულებებით, რომლებიც გვინდა თუ არ გვინდა (ზოგიერთ შემთხვევაში), ნელ-ნელა აღწევს ჩვენს ქვეყანაშიც.

ცნობიერების ამაღლების კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სხვადასხვა სახის ტრენინგებს, საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობას, სადაც ორივე სქესის წარმომადგენლები კიდევ უფრო დარწმუნდებიან თავიანთ შესაძლებლობებში, გაუჩნდებათ თვითშეფასების, ურთიერთპატივისცემის გრძნობა, წაიშლება „დომინანტ-დამოკიდებულება“ ერთმანეთის მიმართ. ეს კი ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ამომრჩევლებთან მიმართებაში, რათა მათ გააცნობიერონ, რა სხვაობა იქნება ქალი კანდიდატების არჩევის შემთხვევაში. პოლიტიკური პარტიები გარკვეულ



წილად ხელს უწყობენ ქალთა არასწორ პოზიციონირებას პროპორციულ სიებში. სიის პირველი ათეულის ბოლოს მათი არსებობა ფაქტიურად არ იძლევა იმის შანსს, რომ ისინი მოხვდნენ გამარჯვებულთა სიებში. განსაკუთრებით კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს.

**მეოთხე თავში – „საჯარო პოლიტიკა და გენდერული თანასწორობა“** განხილულია სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების მიერ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.

გაეროს დეფინიციით, გენდერულ თანასწორობაში იგულისხმება, რომ „ქალს და მამაკაცს კანონი უნდა აღიქვამდეს თანასწორად და ერთნაირ უფლებას ანიჭებდეს ხმის მიცემის, პოლიტიკაში მონაწილეობის დროს.“ ორივე სქესის წარმომადგენლებს, როგორც საჯარო, ასევე პირად სივრცეში უნდა გააჩნდეთ ერთნაირი მოვალეობები, თანაბარი უფლებები და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის პირობები. იმისათვის, რომ ყოველივე ეს განხორციელდეს, საჭიროა ეფექტური პოლიტიკის და მექანიზმების შემუშავება.

ყოველივე ამის განხორციელებისათვის კი იმ საჯარო ინსტიტუტებში, სადაც იქმნება, მუშავდება და ხორციელდება პოლიტიკა, საჭიროა გენდერული თანასწორობის დაცვა. ქალების და მამაკაცების თანაბარი ჩართვა პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში აუცილებლად მოახდენს გავლენას საკითხების ინიცირებაზე, მათ გადაწყვეტაზე, საზოგადოების კეთილდღეობაზე, პოლიტიკური კულტურის დონის ამაღლებაზე.

ამავე თავში განხილულია დასაქმებულთა გენდერული სტატისტიკა, თანამდებობრივი სარგოს, სამსახურში მიღება-გათავისუფლებისა და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა ჩართულობის საკითხი. ამ კუთხით შედარებულია 2013 და 2018 წლების მდგომარეობა.

კვლევამ, რომელიც ჩვენ მიერ იქნა ჩატარებული 11 სამინისტროში, გამოკვეთა ტენდენცია, რომ საჯარო დაწესებულებებში არახელმძღვანელ

პოზიციებზე თანამშრომელ ქალთა რაოდენობა თითქმის უთანაბრდება მამაკაცთა რაოდენობას. ხელმძღვანელ თანამდებობებზე კი შეინიშნება მამაკაცთა უპირატესობა. კვლევაში მონაწილე სამინისტროებში ხელმძღვანელობის ინიციატივით დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულთა უმეტესობა მამაკაცია. როდესაც ხელმძღვანელობის ინიციატივით თავისუფლდება თანამშრომელი, ადგილი აქვს ან დაკისრებული სამუშაოს ჯეროვან შეუსრულებლობას ან დისციპლინარულ გადაცდომას. გამომდინარე აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალები უფრო პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებას.

კვლევაში მონაწილე სამინისტროებში, გენდერული თვალსაზრისით, ყველაზე მეტად თვალშისაცემია თანამდებობრივი სარგოს საკითხი. ყველა სამინისტროში დასაქმებულ მამაკაცთა საშუალო თანამდებობრივი სარგო გაცილებით მაღალია ქალთა საშუალო თანამდებობრივ სარგოზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საჯარო დაწესებულებაში ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალთა რაოდენობა აჭარბებს მამაკაცების რაოდენობას, საშუალო თანამდებობრივი სარგო ამ დაწესებულებებში დასაქმებულ მამაკაცებში მაინც გაცილებით მაღალია (მაგ.: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)

**დასკვნაში** ჩამოყალიბებულია კვლევის ძირითადი შედეგები, მოცემულია წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება პოლიტიკური პარტიების, სახელისუფლებო ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისა თუ ინსტიტუციების მიერ ხელს შეუწყობს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის გაზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი საერთაშორისო კონვენცია, კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ და, რაც მთავარია, საქართველოს კონსტიტუციით არის განსაზღვრული, რომ სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში თანასწორობის პრინციპების გამტკიცებაზე და

კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია, ქვეყანაში ჯერ ისევ დგას გენდერული თანასწორობის პრობლემა და მისი გადაჭრის მიზნით სხვადასხვა სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა. მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც უნდა გამოიჩინონ გარკვეული ინიციატივები პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის კუთხით.

პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის უფლება ადამიანის ერთ-ერთი უფლებათაგანია, ხოლო არჩევით ორგანოებში გენდერული ბალანსის არსებობა დემოკრატიის ძირითადი პრინციპია. არჩევით ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის დაბალი დონე ამცირებს პოლიტიკური დებატის ხარისხს, ინსტიტუტის ეფექტიანობას. საერთაშორისო თანამეგობრობა დიდი ხანია შეთანხმდა ქალთა და მამაკაცთა ძალაუფლებრივი თანასწორობის აღდგენის აუცილებლობაზე, მათ შორის პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების დონეზე. თუ ქალები არ არიან პარლამენტში, ესე იგი პარლამენტი ვერ უზრუნველყოფს მათ ადეკვატურ წარმომადგენლობასა და, შესაბამისად, მათ ინტერესებს სათანადოდ ვერ იცავს.

დღეს საქართველოს პარლამენტში 85,4%-მდე კაცი დეპუტატია (ქალები მხოლოდ 14,6%-ს შეადგენენ), ისინი განსაზღვრავენ თამაშის წესებს, ქცევის სტანდარტს, ღირებულებებს და იმისაც მამაკაცები წყვეტენ, თუ ვინ და როგორ მოხვდება ჯერ პარტიულ სიებში და შემდეგ პარლამენტში. ამ რეალობაზე ქალებს გავლენა არ აქვთ.

ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული ინტერესები და გამოცდილებები აქვთ. თუ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, პოლიტიკაში მხოლოდ მამაკაცები იქნებიან, ისინი ქალთა ინტერესებს სათანადოდ ვერ გაატარებენ. არადა პოლიტიკური სივრცე, რომელიც სხვა სივრცეებზე ახდენს გავლენას, აუცილებელია, ქალებსაც მოიაზრებდეს, რათა მათ შეეძლოთ გავლენის მოხდენა.

ქალთა ჩართულობა საკმაოდ დაბალია ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებშიც. 2017 წლის ადგილობრივი

თვითმმართველობების არჩევნების შედეგად მხოლოდ 1 ქალი იყო არჩეული ქალაქის მერად. 64 საკრებულოდან 22 საკრებულოში მაჟორიტარული წესით არც ერთი ქალი არ იყო არჩეული. პროპორციული სისტემით არჩეული ქალების რაოდენობა კი მხოლოდ 19.59 % შეადგენდა.

პოლიტიკურ პარტიებში გენდერული თანასწორობის კვლევის შედეგების ანალიზმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ პარტიების უმრავლესობაში ქალთა და მამაკაცთა გადანაწილება არათანაბარია, ზოგიერთ პარტიაში კი ქალების რაოდენობა მცირერიცხოვანია.

პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის ხელშემწყობ ერთ-ერთ სწრაფ დროებით მექანიზმად გენდერული კვოტა მიიჩნევა. მას მსოფლიოს 118 ქვეყანა წარმატებით იყენებს. თუმცა, საქართველოში აღნიშნული კვოტის შემოღებასთან დაკავშირებით ვერც ერთმა საკანონმდებლო ინიციატივის განხილვამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. შესაბამისად, დადგა ახალი მექანიზმის შემოღების საჭიროება. კვოტების დაწესებასთან ერთად, აუცილებლად მიგვაჩნია საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება და დანერგვა ყველა ტიპის სკოლამდელ და სასწავლო დაწესებულებაში. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელი ასაკიდანვე დაიწყოს ბავშვის აღზრდა სტერეოტიპული მიდგომების გარეშე. განათლება ეს არის საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი გარანტორი. სწორედ ქვეყნის ჩართულობა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, საგანმანათლებლო სივრცე – სწავლა/სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია, ახალგაზრდების ევროპულ უნივერსიტეტებში აკადემიური მობილობის ხელშეწყობა, სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცვლითი პროგრამების შემუშავება და დანერგვა ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებას.

საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი მასალის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული დაწესებულებების დაბალ რგოლებში ქალთა და მამაკაცთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებლები თითქმის თანაბარია და ზოგ შემთხვევაში ქალების რიცხვი უფრო მაღალიცაა

დასაქმებულ მამაკაცებთან შედარებით. თუმცა, ხელმძღვანელ პოზიციებზე გაცილებით მეტი მამაკაცია დასაქმებული, ვიდრე ქალი. ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულ ქალთა როდენობა მამაკაცთან შედარებით დიდია, ხელმძღვანელობის მხრიდან უფრო მეტი მამაკაცია გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან, ვიდრე ქალი. აქედან ნათლად ჩანს, რომ ქალები უფრო პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობებს.

გამოიკვეთა გენდერული უთანასწორობის კიდევ ერთი შემაშფოთებელი და გაუმართლებელი ფაქტი, კერძოდ ის, რომ განსხვავებაა ქალისა და მამაკაცის საშუალო თანამდებობრივი სარგოებს შორის. ამას მოწმობს სამინისტროებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია. კვლევაში მონაწილე აბსოლუტურად ყველა სამინისტროში დასაქმებულ მამაკაცთა საშუალო თანამდებობრივი სარგო გაცილებით მაღალია ქალთა საშუალო თანამდებობრივ სარგოზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საჯარო დაწესებულებაში ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალთა როდენობა სჭარბობს მამაკაცების როდენობას, ამ დაწესებულებებშიც დასაქმებული მამაკაცების საშუალო თანამდებობრივი სარგო მაინც გაცილებით მაღალია (მაგ.: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო).

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროს, როდესაც დასაქმებულთა ასაკი შეზღუდული არ არის, საჯარო სამსახურში დასაქმებულების ასაკი მერყეობს 39-42 წლებს შორის.

კვლევებმა უჩვენა, რომ სამინისტროების უმეტესობას არ აქვს შემუშავებული გენდერული თანასწორობის სტრატეგია და არ ჰყავს არც გენდერული თანასწორობის საკითხების შემსწავლელი კომიტეტი.

ამგვარად, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- პოლიტიკურ პარტიებში მდებდრობითი და მამრობითი სქესი არათანაბრად არის წარმოდგენილი, ქალთა დაბალი ჩართულობა მრავალი მიზეზით არის მიზეზით არის განპირობებული. მათ შორის

მნიშვნელოვანია ის, რომ ისტორიულად კაცი, როგორც დომინანტი, საზოგადოებასა და პოლიტიკაში, გარკვეულწილად, ახლაც რჩება საზოგადოების „ზედა საფეხურზე“ და ქართული საზოგადოება ძალაუფლებას ტრადიციულად ისევ კაცებს ანიჭებს,

- პარტიებს არა აქვთ გაკეთებული სრული გენდერული ანალიზი. ე.წ. „ქალთა ორგანიზაცია“, (რომელიც პარტიის შიგნით გენდერული ბალანსის თემატიკის პოპულარიზაციას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდას შეუწყობდა ხელს), მხოლოდ ერთ პარტიას – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს;
- პოლიტიკური პარტიები ნაკლებად წარადგენენ ქალებს მაჟორიტარ დეპუტატებად;
- პარტიები, რომლებიც ფინანსურ დანამატს იღებენ ქალების სიაში წარგენისთვის, ამ თანხას არ იყენებენ ქალთა პოზიციების გაძლიერებისთვის;
- პარტიების უმრავლესობისთვის კვოტირება, როგორც დროებითი ზომა, მისაღებია, მაგრამ სიების შედგენისას ან კონკრეტული კანონპროექტის მიღებისას ეს ზომა გათვალისწინებული არ არის.
- მართალია, პარტიებთან გენდერულ საკითხებზე აქტიურად მუშაობენ საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო სექტორი, მაგრამ ზოგიერთ პარტიაში მათი აქტივობა ფრაგმენტულია (არამუდმივია).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ:

- პარტიებისთვის, წინა წლებთან შედარებით, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა უფრო აქტუალური და გასაგები გახდა. თუმცა, მათი მხრიდან ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ ჩანს;
- ქალები უფრო მეტად გააქტიურდნენ პოლიტიკურ პროცესებში წინა წლებთან შედარებით;
- საზოგადოებრივი აზრი პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შესახებ

დადებითისკენ იცვლება.

ადგილობრივი თვითმმართველობებში ქალთა მონაწილეობის კვლევამ გვიჩვენა, რომ:

- 2014-2017 წლების მოწვევის საკრებულოებში არ არსებობს მონაცემები, რომლებიც დეტალურად შეაფასებდა საკრებულოს წევრი ქალების საქმიანობას;
- 2014-2017 წლების საკრებულოებში ქალებმა ვერ შეძლეს საკუთარი უნარ-ჩვევების მაქსიმალურად წარმოჩენა-გამოყენება, რადგან საკრებულოებში ქალთა პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერების პროგრამა არ იყო შემუშავებული;
- გამგეობებში/მერიებში უმეტეს შემთხვევაში არ იყო მერის/გამგებლის მრჩეველი გენდერის საკითხებში, ანდა მრჩეველის ფუნქცია აპარატის რომელიმე თანამშრომელს ჰქონდა შეთავსებული;
- 2014-2017 წლების მოწვევის საკრებულოებში ქალები არ წარმოადგენდნენ ე.წ. „კრიტიკულ მასას“, შესაბამისად მათი ხმა არ ისმოდა ადგილობრივ დონეზე;
- 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ მაჟორიტარული არჩევნები ხელს არ უწყობს ქალთა მონაწილეობის ზრდას, რადგან მაჟორიტარული სისტემით არჩეული ქალების რაოდენობა (8%) პროპორციულთან (19.59%) შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში ქალთა რაოდენობა ძალიან დაბალია. 64 არჩეული მერიდან მხოლოდ ერთია ქალი (ნინოწმინდა-ანივარდა მოსოიანი) ხოლო 64 საკრებულოდან 22 საკრებულოში მაჟორიტარული წესით არცერთი ქალი არ არის არჩეული.

საკანონმდებლო სივრცეში ქალების აქტიურობის შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ:

- საკანონმდებლო ხელისუფლებაში ქალთა რაოდენობა საკმაოდ

დაბალია – 22 (14,66%). ამ მონაცემებით საქართველო 193 ქვეყნიდან 139-ე ადგილზეა.

- საკანონმდებლო ხელისუფლებაში ქალები საკმაოდ აქტიურები არიან, მცირერიცხოვნების მიუხედავად მათ მიერ ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობა საკმაოდ შთამბეჭდავია.
- საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, გენდერული თვალსაზრისით, ყველაზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც საქართველოს ისტორიაში პირველი ქალი პრეზიდენტი გახდა დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი.

საჯარო დაწესებულებებში გენდერული თანასწორობის კვლევის მონაცემებიდან ვლინდება, რომ:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თითქმის გათანაბრებულია (თუ არ ჩავთვლით სპეციფიკურ ძალოვან სამსახურებს);
- საჯარო დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე მამაკაცების რაოდენობა აღემატება ამავე პოზიციებზე დასაქმებული ქალების რაოდენობას;
- კვლევაში მონაწილე სამინისტროებში დასაქმებულ მამაკაცთა საშუალო თანამდებობრივი სარგო გაცილებით მაღალია ქალთა საშუალო თანამდებობრივ სარგოზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საჯარო დაწესებულებაში ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალთა რაოდენობა აჭარბებს მამაკაცების რაოდენობას, საშუალო თანამდებობრივი სარგო ამ დაწესებულებებში მამაკაცებს გაცილებით მაღალი აქვთ (მაგ.: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო);
- მხოლოდ მთავრობის ადმინისტრაციაშია შექმნილი გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახის მიმართ



ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათშორისი კომისია. გამონაკლისია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სადაც გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვისა და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით განსაზღვრულია გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარეობს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათშორისი კომისიის ინსტიტუციური განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის ერთ-ერთი, რომელიც აქტიურად მუშაობს გენდერის საკითხებზე, ატარებს სხვადასხვა შეხვედრას, ტრენინგს თუ კონფერენციას ამ მიმართულებით.

ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევების ანალიზმა ნათლად დაგვანახა, რომ:

- პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის ხელშესაწყობად ერთ-ერთი სწრაფი დროებითი მექანიზმი გენდერული კვოტაა;
- კვოტების დაწესებასთან ერთად, აუცილებლად მიგვაჩნია საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება ამ კუთხით;
- იქიდან გამომდინარე, რომ ხელმძღვანელობის მხრიდან უფრო მეტი მამაკაცია გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან ვიდრე ქალი, იკვეთება ქალების მხრიდან მეტი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები და წინადადებები:

### სახელმწიფოს / პარლამენტს / ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- მოხდეს პოლიტიკაში არა მხოლოდ ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფა, არამედ უკვე არჩეული ქალების პოზიციების გაძლიერება (ცნობიერების ამაღლებით, ფინანსური წახალისებით), რათა მათ შიგნიდან წარმოაჩინონ პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის მნიშვნელობა და აუცილებლობა.
- შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისულებას შორის კოორდინაციას გააძლიერებს და გენდერული მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე უფრო ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას შეუწყობს ხელს.
- საჭიროა, ხელისუფლებამ შექმნას სათანადო პირობები, რათა ქალებს გაუადვილდეთ ოჯახური და სამუშაო საქმიანობის აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებასთან კომბინირება (სამუშაო საათების შემცირება, საშვებულებლო დღეების გახანგრძლივება).
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია დროებითი სპეციალური ზომის, კვოტის შემოღება, რათა გაიზარდოს ქალთა რაოდენობა პარლამენტსა და საკრებულოებში, სანქციების დაწესება კვოტირების დარღვევისთვის (საარჩევნო სიის რეგისტრაციაზე უარის თქმა და ფინანსური ჯარიმები).
- ყველა საკრებულოში შეიქმნას გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც იმუშავებს პარლამენტთან არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, რათა უფრო ეფექტური გახდეს გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობა.
- ყველა საჯარო დაწესებულებაში შემუშავებულ იქნეს გენდერული თანასწორობის სტრატეგია და გათვალისწინებულ იქნეს გენდერული თანასწორობის საკითხების შემსწავლელი სტრუქტურული ერთეულის შექმნა.

- გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მისაღწევად საჭიროა როგორც სკოლამდელ, ისე სასკოლო და საუნივერსიტეტო სასწავლო გეგმებში უფრო მეტი ყურადღება გამახვილდეს გენდერული თანასწორობის საკითხებზე.
- მასწავლებელთა განათლების პროგრამებში გათვალისწინებულ იქნეს გადამზადების ისეთი კურსი, რომელიც მოიცავს გენდერულ საკითხებზე უფრო მეტ ინფორმაციას.
- სახელმძღვანელოებში და ეთიკის კოდექსში აისახოს გენდერული ასპექტები.
- მოსწავლის მიერ საგნის ან პროფესიის არჩევასა აქცენტირება გაკეთდეს დამოუკიდებელ, თავისუფალ, არასტერეოტიპულ არჩევანზე.

#### **პოლიტიკურ პარტიებს:**

- არჩევნების დროს წარმოადგინონ გენდერულად დაბალანსებული საარჩევნო სიები (მაჟორიტარული და პროპორციული).
- საარჩევნო სიებში ქალი კანდიდატები წარმოადგინონ გამსვლელ პოზიციებზე.
- განხორციელდეს მუშაობა პარტიის წევრი ქალების უნარების გაძლიერებაზე (სხვადასხვა სახის ტრენინგები, აქტიური ქალი პოლიტიკოსების გამოცდილების ურთიერთ გაზიარება).
- პარტიებმა შეიმუშაონ პარტიის წევრი ქალების დაწინაურების გეგმა და სხვა წამახალისებელი მექანიზმები.
- მხარი დაუჭირონ და შემოიღონ შიდაპარტიული კვოტა, რაც უზრუნველყოფს სქესთა შორის ბალანსის დაცვას არჩევით ორგანოებში.
- წინასაარჩევნოდ შეიმუშაონ გენდერული პროგრამა, რომელსაც პარტიის არჩევის შემთხვევაში განახორციელებენ.
- ხშირი შეხვედრები გამართონ ამომრჩეველთან ქალი კანდიდატებისთვის მხარდაჭერის გაზრდისათვის.

- პოლიტიკურ პარტიაში შექმნილმა „გენდერის სამუშაო ჯგუფმა“ სცადოს დაფინანსების მოძიება მცირე პროექტების განხორციელების მიზნით, რითიც ამაღლება ცნობიერება გენდერულ საკითხებზე პარტიის შიგნით, ამასთან ერთად აწარმოოს გენდერული სტატისტიკა.
- მოხდეს გამოცდილების გაზიარება რეგიონული თუ რაიონულ ოფისებში მომსახურე წევრებსა და დედაქალაქსა და რეგიონებში მცხოვრებ ქალთა შორის.
- ჩატარდეს ტრენინგები აქტიურ ქალ მოქალაქეებთან თავდაჯერებულობისა და ცოდნის ამაღლების მიზნით.
- ორსული და შვილიანი პარტიული ქალებისთვის შეიქმნას ხელშემწყობი სამუშაო პირობები.
- მოხდეს „შავი სამუშაოს“ შემსრულებელი ქალი კანდიდატების წახალისება პარტიულ სიაში მათი შეყვანის სახით.
- გათვალისწინებულ იქნეს პარტიულ სიაში არსებული ვაკანტური ადგილის შევსებისა და ადგილმონაცვლეობის საკითხი (ქალის მიერ გამოთავისუფლებული ადგილი ისევ ქალმა დაიკავოს და არა - მამაკაცმა).

**სხვა ჩართულ მხარეებს:**

- სახელმწიფოს, მედიასაშუალებების, სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელდეს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო კამპანიები;
- მოხდეს წარმატებული ქალი პოლიტიკოსების პოპულარიზაცია ფართო მასებში. ინტენსიური გახდეს ქალების როლზე საუბარი სხვადასხვა მედიასაშუალებებში;
- გააქტიურდნენ საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები, რათა კონკრეტული ინიციატივებით „აიძულონ“ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები, დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნები.

საქართველოს პოლიტიკას სჭირდება მეტი ქალი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში. დემოკრატიული მმართველობა ხალხის მმართველობაა, რაც მოიაზრებს ქალისა და მამაკაცის თანაბარ მონაწილეობას. მით უფრო მაშინ, როცა საქართველოში ქალები მოსახლეობის ნახევარზე მეტს წარმოადგენენ (52% - 1 932.6-ს).

ქალებს რომ გაუადვილდეთ პოლიტიკაში მოსვლა, უნდა გახდნენ კომპეტენტურები, თავდაჯერებულები, ძლიერი „მოთამაშეები“ პოლიტიკურ სარბიელზე. ამისთვის კი ყველამ ერთად უნდა იზრუნოს – სახელმწიფომ, პოლიტიკურმა პარტიებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა და ასოციაციებმა.

ქვეყანაში ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდა წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს მიერ ნაკისირი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისაკენ. ეს კი მაღალზნეობრივი სახელმწიფო პოლიტიკის მშენებლობის საწინდარია, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე.

**დისერტაციის შესრულება და კვლევის შედეგების აპრობაცია** - დისერტაცია განხილული იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ერთობლივ სხდომაზე.

**ჩატარდა დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული ორი თემატური სემინარი:**

**I თემატური სემინარი** – „ღია მმართველობა საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები“, 17/02/2018;

**II თემატური სემინარი** – „პროფესიული განათლება საქართველოში: გამოწვევები და შესაძლებლობები“, 23/07/2018.

**ჩატარდა დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული სამი კოლოქვიუმი:**

I კოლოქვიუმი – „პოლიტიკური პარტიები და ქალი კანდიდატები”,  
17/02/2018;

II კოლოქვიუმი – „2014 და 2017 წლების ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ანალიზი გენდერულ კრილში“,  
23/07/2018;

III კოლოქვიუმი – „საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა გენდერული ანალიზი“ – 23/02/2019.

დისერტაციის ძირითადი დებულებები წარდგენილ იქნა საერთაშორისო კონფერენციებზე:

- ცხვარიაშვილი ელენე, „მეტი ქალი პოლიტიკაში პარტიებისთვის სავალდებულო გენდერული კვოტების დაწესების გზით?!“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“, თბილისი, საქართველო, 2017 წ.
- ცხვარიაშვილი ელენე, „Le rôle de la femme dans les industries créatives“ (ქალის როლი კრეატიულ ინდუსტრიებში) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტების სადოქტორო კოლეჯის CODFREURCOR მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **Les Industries créatives dans le post-humanisme** (კრეატიული ინდუსტრიები პოსტჰუმანიზმის ეპოქაში), „სტეფან ჩელ მარეს“ უნივერსიტეტი, იაში, რუმინეთი, 17-19 ნოემბერი, 2018 წ.
- ცხვარიაშვილი ელენე, „Bibliothèque – lieu irremplaçable de préservation de sources écrites: Les femmes géorgiennes du siècle dernier dans la politique et leurs activités sociales“ (ბიბლიოთეკა - წერილობითი წყაროების შეუცვლელი საცავი: გასული საუკუნის ქართველი ქალები პოლიტიკაში და მათი საზოგადოებრივი აქტივობები), ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტების სადოქტორო კოლეჯის CODFREURCOR მე-7 საერთაშორისო კონფერენცია **Le patrimoine canonique – support de la vitalité et de la**

*diversité culturelles* (კანონიკური მემკვიდრეობა - კულტურული სიციცხლისუნარიანობისა და მრავალფეროვნების შენარჩუნების საყრდენი), სუჩევა, რუმინეთი, 4-9 აპრილი, 2019 წ.

- ცხვარიაშვილი ელენე, „*Particularités linguistiques des discours portant sur l'égalité des sexes*” (გენდერული თანასწორობის ამსახველი დისკურსების ენობრივი თავისებურებები) საერთაშორისო კონფერენცია *Langue et Territoire 4* (ენა და ტერიტორია 4), ტრენტო, იტალია, 24-30 ივნისი 2019 წელი
- ცხვარიაშვილი ელენე, *Égalité des sexes – un des défis majeurs du 21<sup>e</sup> siècle. Le rôle des établissements d'enseignement dans la formation de la conscience sociale* (გენდერული თანასწორობა - 21-ე საუკუნის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა. სასწავლო დაწესებულებების როლი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების საქმეში), სტუდენტური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - *სტუდენტები 21-ე საუკუნის გამოწვევების წინაშე*, 18-20 ივლისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნაშრომში ფორმულირებული ძირითადი დებულებები ასახულია

ავტორის მიერ გამოქვეყნებულ შემდეგ პუბლიკაციაში:

- ცხვარიაშვილი ელენე, „*Les femmes en politique: État des lieux et perspectives*” („ქალები პოლიტიკაში: არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები“), CODFREURCOR-ის ფრანგულენოვანი ჟურნალი EISH (ინტერდისციპლინური კვლევები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში), №5, 2018 წ., გვ. 708-725.
- ცხვარიაშვილი ელენე, „ადგილობრივი თვითმმართველობა და გენდერული პოლიტიკა“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ (ისტორია, თეორია, პრაქტიკა), #4(48) 2018, ტომი II, გვ.69-78.
- ცხვარიაშვილი ელენე, “პირველი ქალი პრეზიდენტი - გამოწვევა ქვეყნისთვის თუ პოზიტიური ცვლილება?!” საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ (ისტორია, თეორია, პრაქტიკა) , #4(48) 2018, ტომი II, გვ.162-170.

- ცხვარიაშვილი ელენე, „ქალი საჯარო სივრცეში“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ (ისტორია, თეორია, პრაქტიკა) ,- #1(49)2019, ტომი I, გვ.44-53.
- ცხვარიაშვილი ელენე, „2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნები და ქალთა ჩართულობა საკანონმდებლო სივრცეში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის კვლევისა და ტრენინგების ცენტრი (PPRTC), 2016 წ. გვ.1-25.  
<http://pprtc.iliauni.edu.ge/uploads/other/0/978.pdf>  
(უკანასკნელად გადამოწმებულია 13/05/2019)
- ცხვარიაშვილი ელენე, „Le rôle de la femme dans les industries créatives“ („ქალის როლი კრეატიულ ინდუსტრიებში“), სტატია ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტების სადოქტორო კოლეჯის CODFREURCOR ჟურნალის EISH (ინტერდისციპლინური კვლევები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში) მე-6 ნომერი, 2019, ივლისი.
- ცხვარიაშვილი ელენე, „Bibliothèque – lieu irremplaçable de préservation de sources écrites: Les femmes géorgiennes du siècle dernier dans la politique et les activités sociales“ („ბიბლიოთეკა - წერილობითი წყაროების შეუცვლელი საცავი: გასული საუკუნის ქართველი ქალები საზოგადო აქტივობებში და პოლიტიკაში“), მიღებულია გამოსაქვეყნებლად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტების სადოქტორო კოლეჯის CODFREURCOR ფრანგულენოვანი ჟურნალის EISH (ინტერდისციპლინური კვლევები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში) მე-7 ნომერში 2020 წლის თებერვალში.